ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3195495

ნომერი: AR1488692

თარიღი : 22.03.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 26.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის #3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 22 მარტს AR1488692 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის #3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ინდივიდუალური ერთბინინი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირების მიზნით. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2017 წლის 22 თებერვლის #3096282

ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.094.793; ფართობი: 2000კვ.მ.), ინდივიდუალური ერთბინინი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 10 მარტს #3134974 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: სამი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი.
ამჯამად განმცხადებელი ითხოვს 2017 წლის 22 თებერვლის #3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია 2017 წლის 22 თებერვლის #3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის #3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: დადგინდეს ნაკვეთის სამხრეთის საზღვრიდან 10 მეტრის მოშორებით დანართში მოცემული ნახაზის მიხედვით.
• დანიშნულება: საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსებისთვის.
• შეზღუდვა: ძირითადი ნაგებობა (ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) არ უნდა გასცდეს დადგენილ განაშენიანების რეგულირების ხაზის საზღვარს, ხოლო პანდუსი, ფაჩატური, კიბე, ბასეინი და ა.შ შესაძლებელია აგანთავსდეს მის გარეთ;
- განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: დადგინდეს ნაკვეთის ჩრდილოეთის საზღვრიდან 10 მეტრის მოშორებით დანართში მოცემული ნახაზის მიხედვით.
• დანიშნულება: ქუჩის სწორხაზოვანი მოშენების ჩამოყალიბება,
• შეზღუდვა: ძირითადი ნაგებობა (ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) უნდა განთავსდეს დადგენილი სავალდებულო ლურჯი ხაზის საზღვარზე, ხოლო პანდუსი, ფაჩატური, კიბე, ბასეინი და ა.შ შესაძლებელია აგანთავსდეს მის გარეთ;

2. შენიშვნის სახით დაემატოს: 1.- შენობა-ნაგებობების განთავსებისას დაცული იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #59 დადგენილება, ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე.
3. დაევალოს დამკვეთს მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულება შეცვალოს სასოფლო სამეურნეო, არასასოფლო–სამეურნოეზე და მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე წარმოადგინოს შესაბამისი განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

4. ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა:

• ერთი – კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 150 მ2–ზე;

5. გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

• დაცულ იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის # 41 დადგენილებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები;
• შემდგომში გადაკეთების და შენობის იერ-სახის დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით:

- ღიობების დამცავი საშუალებების (ჟალუზების, გისოსების და სხვა) მოწყობის საჭიროების შემთხვევაში, მათ არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა;
- გათბობა-კონდიცირების და სხვა საინჟინრო მოწყობილება-დანადგარების შენობის გარეთ განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში — ფასადების ვიზუალურად ნაკლებად აღქმადი უბნები, ერთიან სისტემაში. ამასთან, ისინი საჭიროა შეიმოსოს (დიფაროს) დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა). არარეკომენდებულია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.
- ანტენების (სატელიტური, რადიო და სხვა) განთავსება სახურავზე. აუცილებლობის შემთხვევაში — შენობის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად უბნებზე;
- აივნებსა და ტერასებზე - ტენტების / საჩრდილობლების მოწყობა, ფასადის ერთიან სისტემაში გადაწყვეტა;

• ხანმედეგი და კარგი გამომსახველობის სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები, ხოლო სახურავზე — საქალაქო განაშენიანებისთვის შესატყვისი მასალა;
• პირველი სართული/სართულები შესაძლებელია დაიტვირთოს ზონის შესაბამისი საზოგადოებრივი ფუნქციით.
6. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის #3096282 ბრძანებასთან ერთად.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.